

---

# ლიტერატურის თეორიის საკითხები

---

ირინე მოდებაძე  
თამარ ციციშვილი  
(საქართველო, თბილისი)

## ქართული მწერლობის სისტემური შესწავლის ისტორიიდან: პეტრე უმიკაშვილი



ტერმინი „ლიტერატურული პროცესი“ მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრდა,\* მაგრამ მისი გააზრების ისტორია არაერთ საუკუნეს გრძელდებოდა. დღესდღეობით „ლიტერატურული პროცესის“ არსი მრავალი კრიტიკურიუმით განისაზღვრება. ეროვნული მწერლობის ისტორიაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, ვითვალისწინებთ ისტორიულ დროში მიმდინარე პროცესის ზოგადკულტურულ მაჩვენებლებს და მისგან დამოუკიდებლად არსებული მხატვრულ-ესთეტიკური საწყისების განვითარებას.

ლიტერატურული პროცესის თავისებურებებს მშვიდობიან-ევოლუციური და ფეთქებადრევოლუციური პროცესების თანაარსებობა-მონაცვლეობა განაპირობებს (იხ. ლოტმანი 2000 [online]). შესაბამისად, შეინიშნება მისი დინამიკის ცვალებადობა: აჩქარების – ამაღლება-აყვავებისა და კრიზისული შენელების – ე.წ. „დაცემის“ პერიოდების მონაცვლეობა.

მწერლობის, როგორც ერთიანი პროცესის, განვითარების თეორიული გააზრება XIX საუკუნეში იწყება, ლიტერატურათმცოდნეობის ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბების დროს. საწყის ეტაპზე ლიტერატურული მოვლენების სისტემატიზაციისას კრიტიკოსები ერთ-ერთი რომელიმე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: ბიოგრაფიული, ისტორიული, ესთეტიკური, კრიტიკულ-ესეისტური და ა.შ. ეროვნული

ნეში იწყება, ლიტერატურათმცოდნეობის ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბების დროს. საწყის ეტაპზე ლიტერატურული მოვლენების სისტემატიზაციისას კრიტიკოსები ერთ-ერთი რომელიმე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: ბიოგრაფიული, ისტორიული, ესთეტიკური, კრიტიკულ-ესეისტური და ა.შ. ეროვნული

\* XIX საუკუნეში მიღებული იყო ტერმინები „ლიტერატურული ევოლუცია“ და „ლიტერატურული ცხოვრება“ (იხ.: ნიკოლაევი 2011: 10 [online]).

მწერლობის ისტორიის პერიოდებად დაყოფა (პერიოდიზაცია) არა მხოლოდ მისი სისტემატიზაციის, არამედ შეფასების ძირითადი კრიტერიუმების დადგენაც გახლავთ, ვინაიდან დროთა განმავლობაში გამოიკვეთა სისტემატიზაციის სხვადასხვა კრიტერიუმებზე აგებული მეთოდოლოგიები.

მიმდინარე ლიტერატურული პროცესის შემეცნებას ჯერ ლიტერატურული კრიტიკა ცდილობს, ხოლო განსხვავებული შეხედულებებით გამონეწეული დისკუსიები მწერლობის განვითარებაზე ახდენს გავლენას, რაც მთელ კულტურულ სივრცეზე აისახება. სწორედ ამიტომ ქართველ კრიტიკოს-მოაზროვნეთა მიერ ეროვნული მწერლობის განვითარების შეფასების ისტორია არა მხოლოდ ქართული თეორიულ-კრიტიკული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, არამედ ახალი დროის ლიტერატურული პროცესის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესწავლის მხრივაც.

წერილების სერიაში, რომელიც ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის ისტორიის კვლევას ეძღვნებოდა, განხილული იყო ს. დოდაშვილის, ალ. ცაგარელის, ალ. ხახანაშვილის, ი. ჭავჭავაძის, კ. აბაშიძის, ვახ. კოტეტიშვილის, მიხ. ზანდუკელის თვალსაზრისი.\* ამ კუთხით მნიშვნელოვნად გვესახება პეტრე უმიკაშვილის\*\*



\* იხ. ციციშვილი, მოდებაძე 2018: 137-139; ციციშვილი, მოდებაძე 2017ა: 209-224; ციციშვილი, მოდებაძე 2017ბ: 224-238; ციციშვილი, მოდებაძე 2016: 326-329; ციციშვილი, მოდებაძე 2013: 177-194; ციციშვილი, მოდებაძე 2012: 201-209; მოდებაძე, ციციშვილი 2008: 106-111; მოდებაძე 1998: 251-260.

\*\* პეტრე უმიკაშვილი (1838-1904) – მკვლევარი, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი და დრამატურგი, რომლის პიესები ქართულ სცენაზე იდგმებოდა.

1903 წლის ნოემბერში დაწერილი ნაშრომი „ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდან ჩვენ დრომდე)“, რომელიც 1904 წელს „საქართველოს კალენდარში“\* გამოქვეყნდა (უმიკაშვილი 1904: 474-499).

უმიკაშვილის ძირითადი მიზანია „ქართველობით“ ხალხში ეროვნული სიამაყის გრძნობის გაძლიერება. მისი აზრით, „ქართული მწერლობის მნიშვნელობა საქართველოს ფარგლებს სცილდება და ის მსოფლიო ისტორიისთვისაც ფრიად საყურადღებო მოვლენაა“ (ცხადაძე 1981: 83). წერილის შესავალში კრიტიკოსი გვაცნობს, რომ სამი ათასი წელიწადია, რაც „საქართველოს და ქართველობის სახელი იხსენება ქვეყნიერობის ისტორიაში და მწერლობაში. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ალყავებული ხალხი და სახელმწიფო სრულებით დაცემულა და გამქრლა; ამათი ხელოვნების ნაწარმოები, მწერლობა და თვით ენა ხალხისა მომკვდარა“, მგრამ ქართველი ხალხი გადარჩა და შეინარჩუნა თავისი უნიკალური კულტურა (უმიკაშვილი 1904: 474).

მკვლევრის მიზანი იყო მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიის შეფასება, მისი სისტემატიზაცია და პერიოდებად დაყოფა. პეტრე უმიკაშვილი ქართული მწერლობის ისტორიას თანმიმდევრულად მიმოიხილავს და შემდეგ პერიოდებად ყოფს:

- I – დასაწყისი მნიგნობრობისა (VI – XI სს.);
- II – აყვავება მწერლობისა (XII საუკუნიდან მონღოლების შემოსევამდე);
- III – შესუსტების ხანა (მონღოლთა შემოსევიდან XVII საუკუნემდე);
- IV – განახლება მწერლობისა (XVIII საუკუნიდან XIX ს-ის დამდეგამდე);
- V – მეცხრამეტე საუკუნე:
  - ა) XIX ს. დასაწყისიდან ბატონყმობის გადავარდნამდე;
  - ბ) ახალი დრო (ბატონყმობის გადავარდნიდან XIX ს. ბოლომდე).

**პირველ პერიოდს** („დასაწყისი მნიგნობრობისა“) კრიტიკოსი მწერლობის შექმნის დროიდან იწყებს და დავით აღმაშენებლის ეპოქით ამთავრებს. ამ მონაკვეთში მკვლევარი, უპირველეს ყოვლისა, მდიდარ ქართულ ზეპირსიტყვიერებაზე ამახვილებს ყურადღებას და ქართული ანბანის შექმნის ისტორიაზე ჩერდება. იგი თქმულების მიხედვით, ანბანის შემოღებას მეფე ფარნავაზს უკავშირებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, პირველი ქართული წიგნი ქრისტიანობის მიღების შემდეგ ჩნდება („რადგანაც დღევანდლამდე დარჩენილს პირველ ნაწერ წიგნებს, ქვებზე და ფულებზე წარწერას მხოლოდ მეექვსე საუკუნისა ვხედავთ“) და უკვე „მეექვსე საუკუნეში ნაწერი ქართული სახარება (ურბნისისა და ქსნისა) გვიმტკიცებს, რომ მეექვსე საუკუნეში გავრცელებულია ქართული წიგნი“ (უმიკაშვილი 1904: 476).

უმიკაშვილი ქრისტიანობის მიღების შემდეგ ბერძნული ენიდან დაწყებულ „საღმრთო და საეკლესიო“ წიგნების თარგმანზე („იმ გვარადვე, როგორც ევროპის ქვეყნებში“) და იმ დიდ ღვაწლზე მოგვითხრობს, რომელსაც ბერ-მონაზვნები მთელ

\* წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ყოველთვიური გამოცემა „საქართველოს კალენდარი“ მსახიობ, რეჟისორ, დრამატურგისა და კრიტიკოსის ვალერიან გუნიას (1862-1938) მიერ 1882 წელს დაარსდა, 1903 წლიდან „კალენდარი“ ფილიპე გოგიჩაიშვილის საერთო რედაქციით გამოდიოდა.



**პ. უმიკაშვილის ნაშრომს დართული ილისტრაცია. ნარწერები:**

1. „მეფე მირიან ხოსროიანი“
2. „მეფე ვახტანგ გორგალას“
3. „მეფე ბაგრატ“

ამ დიდი მამების შრომებმა გაამდიდრა ჩვენი მწერლობა, საქართველო ევროპის განათლებულ ხალხებს დაუკავშირა და მათი „ნარმატების გზის მოზიარე“ გახადა, „დაუდვა შეურყეველი საფუძველი ქართულ სიტყვიერებასა და მწერლობას“ (უმიკაშვილი 1904: 478). მკვლევარი სასულიეროს გავლენით დაწყებულ საერო მწერლობაზე გვესაუბრება და „წმინდა ნინოს“, „წმინდათა ქართველ წამებულთა და მამათა ცხოვრებას“, აგრეთვე, მერვე საუკუნეში ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ დაწერილ საისტორიო შრომას – „ქართლის ცხოვრებას“ გამოყოფს. კრიტიკოსის შეხედულების თანახმად, სასულიერო მწერლობის გავლენით გაჩენილ საერო მწერლობაში ბიზანტიისა და არაბ სარკინოზთა გავლენა არ იგრძნობა, ხოლო „ქართულ ენაში თუ შემოსულა რამე არაბულისაგან, მხოლოდ სიტყვებია ბევრი“ (უმიკაშვილი 1904: 478). პეტრე უმიკაშვილი მიიჩნევს, რომ სპარსულმა ლიტერატურამ ყველაზე დიდი გავლენა ზეპირსიტყვიერებაზე, თქმულებებზე და „ფალავანთა ამბებზე“ მოახდინა.

საქართველოში ენეოდენ, რათა გაედლიერებინათ ქრისტიანობა და „ქართველობა შეემაგრებინათ ცეცხლის თაყვანისმცემისა და მაჰმადიანთა ბრძოლის დროს“ (უმიკაშვილი 1904: 477). ის ბასილ დიდის, იოანე ღთისმეტყველის, კირილე იერუსალიმელის, გრიგოლ ნეოკესარიელისა და სხვათა თხზულებებს ასახელებს. უმიკაშვილს არც ჩვენი წინაპრების მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფუძნებული ეკლესია-მონასტრები გამორჩენია – ათონი, იერუსალიმი, სინას მთა, შავი მთა, სადაც ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ „იმ განზრახვით, რათა უფრო ახლოს ყოფილიყვნენ ბიზანტიასთან, სადაც უფრო მკვიდრი ნიადაგი ჰქონდა განათლებას და უმეტესი შრომით დახმარებოდნენ დედა ქვეყანას“ (უმიკაშვილი 1904: 477). ის განსაკუთრებულად იოანე, ექვთიმე ათონელებისა და გიორგი მთაწმინდელის ღვანლს წარმოაჩენს. მკვლევრის დასკვნით, სწორედ

მკვლევრისათვის დავით აღმაშენებელი, საქართველოს ისტორიაში გამორჩეული მეფე, „მამაცობით მხნე, ჭკუით გონიერი, მართალთ მოყვარე, ზნე კეთილი“, სამაგალითო პიროვნებაა, რომლის ეპოქის თხზულებებიდან გამოარჩევს საკანონმდებლო მწერლობიდან „ძეგლის წერას“, მხატვრული ლიტერატურიდან კი „ვისრამიანს“. კრიტიკოსი ქართული ლიტერატურული პროცესის განვითარების შეფასებისას დიდ მნიშვნელობას ლიტერატურულ გავლენებს ანიჭებს და მათ ეროვნული მწერლობის გამდიდრების საშუალებად მიიჩნევს. უმიკაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბიზანტიურ და სპარსულ მხატვრულ სისტემებთან ქართული მწერლობის კონტაქტებს. იგი თავის მოსაზრებებს „ვისრამიანის“ ტექსტის ანალიზის საფუძველზე გამოთქვამს. მისი სიტყვებით, „ვისრამიანი“ „მეთერთმეტე საუკუნის თხზულებაა და ნათარგმნია ვეფხის ტყაოსნის წინა დროს“. მართალია, ტექსტი პროზად არის შექმნილი, მაგრამ „შესანიშნავი პოეტური ენით. თვით თხზულების შინაარსი რომანია, საკმაოდ მდიდარი, ლამაზის აგებულობის ფორმით“. უმიკაშვილის აზრით, „ქართველ მწერლებს არ აკმაყოფილებდა ბიზანტიის მწერლობის ხასიათი და გამოძებნეს სპარსულ მწერლობაში მხატვრობითი ფორმა თავის პოეტური ბუნების შესაფერი, რომლის მოცემა არ შეეძლო პოეზიით ღარიბს ბიზანტიის მწერლობასა“ (უმიკაშვილი 1904: 480).

მასასადამე, ქართული მწერლობის განვითარების ამ პერიოდის შეფასებისას მკვლევარი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას თარგმანებსა და ლიტერატურულ გავლენათა მნიშვნელობაზე ამახვილებს, მაგრამ აქვე ხაზგასმით აღნიშნავს ჩვენი ეროვნული მწერლობის თვითმყოფადობას და შემოქმედებით ნაყოფიერებას.

პეტრე უმიკაშვილი ქართული ლიტერატურის **მეორე პერიოდს** „აყვავებას მწერლობისას“ უწოდებს, რომელიც თამარ მეფის დროიდან იწყება და მონღოლების შემოსევით მთავრდება, „დიდებული მეფობა თამარისა (1184-1212) შეიქმნა უმაღლეს დროდ ქართულის მწერლობისა“ (უმიკაშვილი 1904: 480). მკვლევარი ხაზს უსვამს ამ ეპოქის მწერლების – ჩახრუხადის, შავთელის, მოსე ხონელის, შოთა რუსთაველის დამსახურებას და მიიჩნევს, რომ თამარის სიღიადემ, მაღალმა ნიჭმა, ზნეობამ, გულისწარმტაცმა სილამაზემ, პოეტებს „ქება-შესხმის ენა აადგმევინა“. ის დარწმუნებულია, რომ წარსულში აუცილებლად უნდა ყოფილიყო „წინამორბედი შრომა“, რომელმაც ამ მწერლებს „გაკვალიული გზა მოუშადა“, ეს ვითარება კი პოეტებთან „შემუშავებულ ლექსთ აგებაში“ ნათლად იკვეთება. კრიტიკოსის რწმენით, „ამ გვარი სახე ლექსებისა იმ დროის ევროპიულ არც ერთ ხალხს არა ჰქონდა“ (უმიკაშვილი 1904: 480).

უმიკაშვილი საგანგებოდ რუსთაველის „ვეფხისტყაოსნზე“ ჩერდება და აღნიშნავს, რომ თამარ მეფის ძლიერების შარავანდედმა რუსთაველის გულში „ზეშთაგონების აღმაფრენა“, „ენა ტკბილ გალობად შესხმა“ გამოიწვია და „დაუჭნობელი პოეზიის ყვავილი – „ვეფხისტყაოსანი“ შეაქმნევინა. მისი მტკიცებით, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ გენიოსის იდეა, საკვირველი პოეტური ჰარმონიით გამოიხატა და „უმწვერვალეს მხატვრულ სიმაღლემდე ავიდა“. უმიკაშვილის დაკ-

ვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“ გამოითქვა „ქართველობის ისტორიის ცხოვრება, სულის განწირულება მრავალ მტერთა შემოსევის დროს და იმავე წაშლილი სიციცხლის წყურვილით აღძრული მოქმედება, თავის გამოდება უკეთესი ბედის ძიებისათვის“. ავტორისათვის სწორედ ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ქართველმა ერმა პოემა შეიქმნა დასი წლის შემდეგაც თავის ყველაზე საყვარელ წიგნად, „საუკუნო პოეზიის საუნჯედ“ აღიარა (უმიკაშვილი 1904: 482).

პეტრე უმიკაშვილის პერიოდიზაციის მიხედვით, ქართული მწერლობის **მესამე პერიოდი** („შესუსტების ხანა“) – მონღოლთა შემოსევით იწყება და მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლომდე გრძელდება. ავტორი ქართველების ძნელბედობის ისტორიას აღწერს, როდესაც საქართველო განუწყვეტლივ მტრის – ჯერ მონღოლების, შემდგომ თემურ ლენგისა და სპარსელების – შემოსევას განიცდის. მკვლევრისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, რომ იმ დიდებულ ეპოქაში, როდესაც საქართველო „გამზადებული იყო ევროპის ხალხების გზაზე მსვლელობისათვის“, მტერმა წარღვანასავით წაღწა, ცეცხლითა და მახვილით გადაბუგა ქვეყანა, „ხალხი გაველურდა და ველარ გაუთანასწორდა ევროპის ხალხების კულტურას“, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ქართველმა ერმა „საშინელი ბრძოლით“ მინაწყალი, ენა და მწერლობა შეინარჩუნა. კრიტიკოსი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ჩვენი მწერლობა რამდენიმე საუკუნე „დიდად შეჩერდა“ და რუსთაველის შემდეგ წინ ვერ წავიდა. თუმცა იმ „შავ დროებაშიც“ სპარსულის გავლენით იწერებოდა ან ითარგმნებოდა „ზღაპრის მსგავსი ფალავანთა ამბები“. მკვლევარი აღფრთოვანებულია, რომ უმძიმეს ეპოქაშიც კი ქართულ „მწერლებს უნდოდათ გული მიეცათ მკითხველისათვის და მამაცობის სული ჩაებერათ. მოლექსენი ამ დროებისა გვიხატავენ ხალხის თავგადასავალს ისტორიულ მოთხრობასავით, აგვიჩვენებენ ზნე-ჩვეულებას და გარემოებას მაშინდელი ყოფისა“ (უმიკაშვილი 1904: 483). მკვლევარი იმ პერიოდში მოღვაწე ქართველი მწერლებიდან თეიმურაზ I-ის, არჩილ მეფისა და იოსებ თბილელის ტექსტებს იწონებს. „ამ გვარი ლექსთა თხზვა გავრცელებული იყო მეთექსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში“, – წერს ავტორი.

**მეოთხე პერიოდი** („განახლების ხანა“) უმიკაშვილის პერიოდიზაციით მეთვრამეტე საუკუნეში იწყება და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე გრძელდება. მისი თვალსაზრისით, ვახტანგ მეფის წახალისებით, მფარველობითა და ხელის შეწყობით დაიწყო დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა და ჩვენი მწერლობის განახლება. „საქართველოს საუკეთესო შვილების ზრუნვა, მეცადინეობა, ნიჭი თითქოს ამ დროს იღვიძებს და მიმართულია მწერლობაზე“ (უმიკაშვილი 1904: 484). თბილისში დაარსდა პირველი ქართული სტამბა, შეიქმნა „სამართლის წიგნი“ და „დასტურლამალი“ („მოხელეთა წესიერებისათვის სახელმძღვანელო ინსტრუქცია“). ვახუშტი ბატონიშვილი, მამის „ბრძანებით, ჰკრებს საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიის მასალებს და ადგენს ისტორიასა და გეოგრაფიას, რომელიც დღევანდლამდე მწერლობის განძად ითვლება“ (უმიკაშვილი 1904: 484). უმიკაშვილის თვალთ დასახული „მსაჯულთ უხუცესი (მდივანბეგი)“ სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725), როგორც მწერალი და „სამეფო მოღვაწე“, უთვალსაჩინოესი

ფიგურაა ჩვენს მწერლობაში. კრიტიკოსი სულხან-საბას თხზულებებიდან ყურადღებას ამახვილებს „სიბრძნე – სიცრუისაზე“ („არაკები საყვარელი საკითხავი შეიქმნა, როგორც ლაფონტენისა საფრანგეთში და კრილოვისა რუსეთში“), ლექსიკონზე („პირველი საძირკველია ამ გვარის შრომისა“) და „მოგზაურობა ევროპაში“ (უმიკაშვილი 1904: 486).

უმიკაშვილის, როგორც რედაქტორ-გამომცემლის დამსახურებაა, რომ 1871 წელს დაიბეჭდა „სულხან-საბა ორბელიანი და მისი სიბრძნე სიცრუის წიგნი“, რომელსაც კრიტიკოსის წინასიტყვაობაა აქვს დართული. მსჯელობს რა დავით გურამიშვილის პოეზიაზე, მკვლევარი აღნიშნავს, რომ გურამიშვილს არა მარტო განსაკუთრებული „საჩენი ადგილი უპყრია“ ქართულ ლიტერატურაში, არამედ თავისი „მჭახე და ძლიერი ენით მოსთქვამს“ ქვეყნის უბედურებაზე „გურამიშვილისამებრ ხმა არავის აუმაღლებია“ საქართველოს ერთობის დარღვევა-დანაწილებაზე და რომ არცერთ ჩვენს პოეტს „ისეთი მეცადინეობა ახალზომის ლექსის შემოღებისათვის“ არ გამოუჩენია, როგორც „ამ უნიჭიერეს მწერალს“. გურამიშვილის „მშვენივრად გამოთქმული აზრები ანდაზებად გადაიქცა“ (უმიკაშვილი 1904: 486), – შენიშნავს მკვლევარი. სანამ ავტორის წინამდებარე წერილი დაიბეჭდებოდა, 1881 წელს უმიკაშვილმა გამოსცა წიგნი „დავით გურამიშვილი და მისი „დავითიანი“ და იქაც წინ წამოსწია ის ფაქტორი, რომ ავტორი „ისტორიულ – ნაციონალური თემატიკის შემოჭრით დაუპირისპირდა ზღაპრულ-ფანტასტიკურ ამბებს და რომ <...> გურამიშვილი თავის იდეებს საქართველოს აღდგენისა და განახლების შესახებ ხალხის გასაგონი ენით ქადაგებს“ (ცხადაძე 1981: 88-89).

უმიკაშვილი სიმპათიას ამჟღავნებს ანტონ კათალიკოსის მიმართ. მკვლევარი მას დიდ დამსახურებად უთვლის გრამატიკის, რიტორიკის, ფიზიკის, ისტორიის სახელმძღვანელოების თარგმნასა და „შეთხზვას“, „წყობილ სიტყვაობის“ („ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა შესხმა-ბიოგრაფიის“), „მზა მეტყველების (სხიზმეტიკოსთა წინააღმდეგ)“ და „მარტირიკის (ქართველ წმინდანთა ცხოვრების)“ შექმნას. მისი სიტყვებით, ანტონი ცხოვრებაში „ევროპიელ კაცებს უახლოვდებოდა“ და „ამ მოღვაწის შრომა სულის ჩამდგმელი იყო მრავალ სასულიერო და საერო კაცებისათვის, რომელთაც მასთან ერთად გააფართოვეს მწერლობის ასპარეზი, ახალი გზა აჩვენეს, პირი აბრუნებინეს ევროპიული სწავლა მეცნიერებისაკენ და დაატოვებინეს სპარსული თაყვანის ცემა“. უმიკაშვილი ქებასთან ერთად არც ანტონ კათალიკოსის კრიტიკას ერიდება, რადგან მის ნაწერებზე იმ დროის „ცრუ კლასიკურმა მიმართულებებმა“ იქონიეს გავლენა, რამაც განაპირობა, რომ მისი თხზულებები ძალზედ მძიმე და „ენის კანონების წინააღმდეგი“ იყო (უმიკაშვილი 1904: 487).

მკვლევარი ცდილობს განახლების ხანაში მოღვაწე გაიოზ ეპისკოპოსის, ტიმოთე გაბაშვილისა და იონა გედევანიშვილის ღვაწლი დაგვანახოს. უმიკაშვილის აზრით, „ყოველ შემთხვევაში მაინცა და მაინც ვახტანგის და ანტონის დროს მოღვაწეობამ დასძრა, განაახლა და გაამდიდრა ქართული მწერლობა დიდი ხნის მოდუნებულის ყოფის შემდეგ“ (უმიკაშვილი 1904: 487). კრიტიკოსს არც ერეკლე მეფის ღვაწლი გამოჩენია („თვით მეფე სთარგმნიდა ნემეცურს თხზულებას საპოლიციო სამართველოს სპარსულიდან“) და რომ აღა-მაჰმად ხანის შემოსევი-



სა და საქართველოსათვის ძნელბედობის დროსაც კი ბევრი წიგნი ითარგმნა და დაინერა. უმიკაშვილი აანალიზებს რა იმ პერიოდის ქართულ მწერლობას, ღრმად არის დარწმუნებული, რომ სწორედ „მეთვრამეტე საუკუნემ მეცხრამეტეს გადა- მოსცა უმეტესი ნაღვანი, ვიდრე მას მიელო წინა საუკუნისაგან. თუ მწერლობა არის ერის სულის და პიროვნების გამომსახველი, რამდენადაც შავდროთა ბრუნვა ხელს არ უშლიდა, ამ მწერლობამ განამტკიცა თავისებურება ქართველობისა და გადასცა წარსამარტებლად მომავალ თაობასა“ (უმიკაშვილი 1904: 488).

**მეხუთე პერიოდი** („მეცხრამეტე საუკუნე“), უმიკაშვილის პერიოდიზაციის თა- ნახმად, ორ ხანად იყოფა.

პირველი ინყება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან და გრძელდება ბატონ- ყმობის გადავარდნამდე. „დრონი იცვალნენ, გაუქმდა მეფობა“ (უმიკაშვილი 1904: 488). მართალია, იყო რეალური საფრთხე, რომ ქართული მწერლობა მო- დუნებულიყო, მაგრამ მკვლევარის ღრმა რწმენით, „ეროვნულობისა და მწერლო- ბის სული“ არ დაკარგულა. უმიკაშვილი მოიხსენიებს სოლ. დოდაშვილსა და გაზეთ „ტფილისის უწყებანს“, რომელიც „პოლიტიკური მოძრაობის მიზეზით“ დაიხურა. მკვლევარი ეპოქის ჭრილში განიხილავს დავით ბატონიშვილის, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილების, ბესარიონ გაბაშვილის, დავით რექტორისა და დიმიტრი ბატონიშვილის ტექსტებს. XIX საუკუნის პოეზიის „პირველ მერცხლად“ ის ალ. ჭავჭავაძეს აცხადებს, რომლის ლექსებშიც „შეუდარებელ კილოს“ და „ძლიერ პოეტურ გრძნობათა გამოხატვას“ ხედავს.

კრიტიკოსის თვალსაზრისით, ნიკოლოზ ბარათაშვილი გამორჩეული, შეუდა- რებელი „ღრმა, მშვენიერი, გრძნობის და აზრების გამომთქმელი“ პოეზიის ავტო- რია, რომლის ლირიკას „იმედიანი, მხურვალე გრძნობაც თან ახლავს“. უმიკაშვილი გიორგი ერისთავს XIX საუკუნის პირველი პერიოდის მწერლებს აკუთვნებს. მკვლევარის სიტყვებით, ერისთავი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული პროცესის აქტიური მონაწილეა, ხოლო მისი „საჩენი შრომა“ კი 1850 წლიდან იწყე- ბა, როდესაც მთავარმართებელ ვორონცოვის მფარველობით ის ქართულ თეატრს ჩაუდგა სათავეში. კრიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გიორგი ერისთავის პი- ესებს – „გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“ – მიუხედავად ზოგიერთი მხატვრული ნაკლისა, უპირველესი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში, რადგან ამ პიესებით იწყება ქართული თეატრის ისტორია. მკვლევარს გაცნობიერებული აქვს ერის- თავის თაოსნობით გამოსული ჟურნალ „ცისკარის“ მნიშვნელობა. მართალია, ერისთავი ჩამოშორდა ჟურნალსაც და მის მიერ დაარსებულ თეატრს, მაგრამ მკვლევარი თვლის, რომ ერისთავმა მოახერხა და შექმნა ქართული თეატრისა და ლიტერატურული პრესის ახალი ტრადიცია, თუმცა იქვე დასძენს, რომ „ჟურნალი სუსტი იყო შინაარსით და მწერლების დონით“ (უმიკაშვილი 1904: 490). კრიტიკოსს შეუმჩნეველი არ დარჩენია ლიტერატურულ სივრცეში ალექსანდრე ორბელიანის, გრიგოლ რჩეულიშვილის, დანიელ ჭონქაძისა და ლავრენტი არდაზიანის გამოჩენა.

პეტრე უმიკაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას XIX საუკუნის ქართული ლი- ტერატურის მეორე ხანას აპყრობს, რომელსაც „ახალ დროს“ უწოდებს. უმიკაშვი- ლის პერიოდიზაციით, „ახალი დრო“ იწყება ბატონყმობის გადავარდნიდან, „ყმების



განთავისუფლების დროიდან“ და გრძელდება მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე. ის მიმოიხილავს მეცხრამეტე საუკუნის მეორე პერიოდს და იმ ეპოქის ტენდენციების გათვალისწინებით თავის მოსაზრებებს გვთავაზობს. მისი თვალსაზრისით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ანუ ახალი დროიდან საზოგადოებრივი აზრი იწყებს ზრდას, „დიდ მოძრაობაში მოდის“ და სალიტერატურო სივრცეში ახალი თაობა ჩნდება. უმიკაშვილის აზრით, მკითხველს უკვე აღარ აკმაყოფილებს „უკან დარჩენილი“ „ცისკრის“ მწერლობა და სწორედ ამ განზრახვით „ქართველი მკითხველის დადუნებული, მძინარე აზრის შესაძრავად“ ილია ჭავჭავაძე ჟურ. „საქართველოს მოამბეს“ აფუძნებს. მისდა საამაყოდ, ზოგადად, ქართულ პრესას, რომელიც „საქართველოს მოამბეს“ მოჰყვა, ევროპული სახე ეძლევა. მკვლევარს გააზრებული აქვს, რომ პერიოდული გამოცემების წყალობით ქართველ მკითხველს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა, მიეღო ევროპის ხალხების მდიდარი ლიტერატურა, საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება და არც ეროვნული „კეთილ-თვისებები“<sup>\*</sup> დაეკარგა. ის კმაყოფილია, რომ ქართულმა ახალმა მწერლობამაც „შუბლზე იგივე მცნება დაინერა, რაც ევროპულ მწერლობას ჰქონდა შემუშავებული“ (უმიკაშვილი 1904: 492). უმიკაშვილი ასაბუთებს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურა „შეუდგა აღმავლობის გზას“ და ლიტერატურულ სივრცეში გამოჩნდნენ ახალი პლედის პოეტები, პროზაიკოსები, პუბლიცისტები. განახლდა ქართული თეატრი და აღორძინდა სასცენო ხელოვნება. მისი თქმით, უწინდელ მწერალთა უმრავლესობა (იგულისხმებიან ჟურ. „ცისკრის“ ავტორები) ენის „სიმახინჯით“, „უიდეობით“ და „უსწავლელობით“ გამოირჩეოდა, რის გამომწვევ მიზეზად კრიტიკოსს მათი გაუნათლებლობა და ეპოქისგან ჩამორჩენა ესახება, რადგან „მწერლობის ბედი რიცხვმცირე საზოგადოდ მაღალ და საშუალო განათლებულ კაცებზე იყო დამოკიდებული“ (უმიკაშვილი 1904: 492). თანაც ქვეყანას მანამდე არც „ევროპიულ მეცნიერებაზე მომუშავენი“ ჰყავდა, რაც თავისთავად შემაფერხებელი ფაქტორი იყო საზოგადოების სწორი განვითარებისათვის, „ურომლისოდაც ხალხის ყოფა უმეცრების ყოფაა“. მკვლევრის წარმოდგენით, მწერლისათვის მარტო სურვილი და ხალისი არ არის საკმარისი, რადგან „გარეგანი შნო და ტექნიკა, ენის სიმახინჯე ან შინაგანი უიდეობა, უსწავლელობა, გაუგებრობა ნახულისა, დაუკვირვებლობა, მახინჯი ფანტაზია ვერ აძლევენ ღირსებას მოკალმეს“ (უმიკაშვილი 1904: 493), ამიტომაც ის თავის შრომაში მხოლოდ იმ მწერლების თხზულებებს ანალიზებს, რომლებმაც ქართველი მკითხველის ყურადღება დაიმსახურა და მისი სულიერი თვალთახედვა გააფართოვა. უმიკაშვილი ცხადყოფს, რომ ილია ჭავჭავაძის გამოჩენა ქართული ლიტერატურის განახლებას მოასწავებდა, მისი თხზულებებით ახალი ეტაპი იწყება ჩვენს მწერლობაში. მკვლევარი ილიას პროზას ქართული მწერლებისათვის სანიმუშოდ მიიჩნევს, ხოლო პოეზიას – „ახალ გამომადვიებელ სიოდ მძინარე ქართველი მოლექსეებისათვის“ (უმიკაშვილი 1904: 493). მკვლევარი ილია ჭავჭავაძეს ქართული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის მესაძირკვლედ ასახელებს. აკაკი წერეთლის ლირიკა მას გალობის ჰარმონიას ახსენებს, რომელიც „ანდამატისებრ იზიდავს მკითხველის სმენას“, ხოლო მისი პროზაული ტექსტები „ჩვენი წყლების კამკამებას“ აგო-

\* „კეთილ-თვისებებში“ კულტურული ტრადიციები იგულისხმება – **თ.ც.**

ნებს. უმიკაშვილისათვის აკაკის სატირულ ლექსებს ბადალი არ მოეპოვება მთელ ქართულ პოეზიაში, „უტოლოდ იმყოფება“ – ასეთი სიტყვებით ამკობს მათ კრიტიკოსი. მკვლევრისათვის უაღრესად საგულისხმოა, რომ ილია და აკაკი ის ფიგურები არიან, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის არა მარტო ქართულ მწერლობას, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებასაც სათავეში ჩაუდგნენ, მომავლის იმედი არასოდეს დაუკარგავთ და ღრმად სწამდათ, რომ ქვეყანა „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“ და რომ „ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყოფადი“.

რაფიელ ერისთავის ლირიკა უმიკაშვილს ხალხურ პოეზიას ახსენებს და სწორედ ამ ფაქტორით ხსნის ის ერისთავის პოპულარობას. მკვლევრის მოწონებას იმსახურებს მწერლის რუსული ენიდან „კარგად გადმოკეთებული“ კომედიები, რომლებსაც მთლიანად „ქართული სახე აქვთ მიცემული“, პროზაული ტექსტები კი სუსტად ეჩვენება. პეტრე უმიკაშვილი, ყველა სხვა ლიტერატურის ისტორიკოსისგან განსხვავებით, ქართველ მწერლებს გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებს ახალი დროის მწერლობას აკუთვნებს და იქვე განმარტავს თავისი მოსაზრების გამომწვევ მიზეზს, რომ „ორბელიანებმა ამ ხნის მწერლობის გავლენის დროს მოუხშირეს წერას (1840-1880), თუმცა მათი ნაწარები 1830-იან წლებშიც გვხვდება“. მკვლევრის ხედვით, ამ ავტორებს „უცილობელი პოეტური ნიჭი აქვთ“. მათი აზრი (გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების) დასტრიალებს „წარსული დროის უბედურებას“, გოდებას დაკარგულზე, ეჭვს მომავალზე და სიხარულს, როდესაც საიმედოს ხედავენ. პეტრე უმიკაშვილი გამორჩეულ ყურადღებას ვაჟა ფშაველას პოეზიას უთმობს. ის ვაჟას ტექსტებს საოცარი ექსპრესიით შექმნილ თხზულებებად აღიქვამს და შემდეგი ეპითეტებით ამკობს: „მთის მკვეთრს, ნაქსოვსავივით რბილს, ნაჭედსავით მტკიცე, ჰარმონიული ლექსთა თხზვა, სიტურფე, გამომსახველობა, ქანდაკება და პლასტიკა გამოხატვისა <....> მისი პოეზია მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში შეუდარებელია <....> წვრილი ლექსები ლირიკული და ეროტიულია“ (უმიკაშვილი 1904: 496). უმიკაშვილს ეჩვენება, რომ იშვიათ შემთხვევაში ვაჟას ლექსებს „ხალხური პოეზიის მსგავსი რითმებისა და ტაქტების ერთგვარობა ახასიათებს“, მაგრამ ეს სრულიად არ უშლის ხელს, რომ აღტაცებული დარჩეს მისი ტექსტებით. პეტრე უმიკაშვილის თვალთ დასახული ალექსანდრე ყაზბეგი მთის კოლორიტული ფიგურაა, რომლის პროზაშიც იშვიათი ხელოვნებით არის აღწერილი მთის სურათები და „შეადგენს ქართული მწერლობის დიდ ნამატს“. მკვლევარის სიტყვებით: „ზოგიერთი მოთხრობის შინაარსი ისტორიულ გარემოებას შეეხება, რომელშიც იდეალიზაციაა შერეული, <...> ყველგან გამონასკვი სიყვარულის გარს ტრიალებს, ხვანჯი დახლართულია“ (უმიკაშვილი 1904: 496). თუმცა არც იმის აღნიშვნა ავიწყდება, რომ, სამწუხაროდ, ყაზბეგის მოთხრობების ენა შინაარსის სილამაზეს „არ ეთანხმება“. პეტრე უმიკაშვილი კრიტიკოსთა იმ რიგს მიეკუთვნება, რომელთათვისაც ქართველი ქალის ლიტერატურულ სივრცეში გამოჩენა ყოველთვის საამაყო და საპატიოა. მწერალ ქალებს ის „ახალი დროის ნაყოფად“ მიიჩნევს და იმედოვნებს, რომ მომავალში ქალები საზოგადო ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც უფრო წარმატებულები იქნებიან. მკვლევარი, უპირველ ყოვლისა, ეკატერინე გაბაშვილისა და დომენიკა ერისთავის (განდგილის) თხზულებებს

გამოარჩევს. უმიკაშვილი თავის თვალსაზრისს „ახალგაზრდა“ მწერლის დავით კლდიაშვილის შესახებ გამოთქვამს, რომლის პროზასაც „ყველა ჩვენი თანამედროვე მწერლის“ (იგულისხმება უმიკაშვილის თანამედროვე მწერლობა) მოთხრობებზე მალა აყენებს, რადგან კლდიაშვილის ტექსტებისათვის დამახასიათებელია ფსიქოლოგიური სიღრმე, აზრის ნათლად გამოხატვა, „დაკვირვება და შესწავლა პერსონაჟთა სულის მოქმედებისა“. კრიტიკოსს არც ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურულ სივრცეში გამოჩენა დარჩენია შეუმჩნეველი.

წერილში პეტრე უმიკაშვილი მხოლოდ ქართული მწერლობის პერიოდიზაციითა და მიმოხილვით არ შემოფარგლულა. იგი დიდი პატივისცემით მოიხსენიებს შექსპირისა და მოლიერის მთარგმნელებს – ივანე მაჩაბელსა და დიმიტრი ყიფიანს, ნიკო ნიკოლაძესა და სერგეი მესხს, ქართული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის საფუძვლის ჩამყრელებს, იაკობ გოგებაშვილს – ქართული საყმაწვილო საკითხავი წიგნებისა და დედა-ენის შემქმნელს, ქართველ დრამატურგებს – ავქსენტი ცაგარელს, დავით ერისთავს და ვალერიან გუნიას. მკვლევარი თავის წინამორბედთა და თანამედროვეთა – მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, ალექსანდრე ხახანაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, თედო ჟორდანიას, ნიკო ხიზანიშვილის (ურბნელის) დამსახურებაზე წერს და არ ივიწყებს მათ ღვაწლს ქართული ლიტერატურის, ენისა და ისტორიის კვლევის საქმეში. წერილის დასასრულს იგი მადლიერებით მოიხსენიებს იმ უცხოელ მეცნიერებსა და მწერლებს, რომლებიც საქართველოს ისტორიით, მწერლობითა და კულტურით დაინტერესდნენ: ვივიელი, მარტენი, ბოჰპი, მარი ბროსე, ლანგლუა, დუბუა, შანტრი, შილლერი, კოვალევსკი, მურავიოვი, მერცხმახერი, არტურ ლაისტი (გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი). უმიკაშვილი თავს ბედნიერად მიიჩნევს, რადგან მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა მწერლობამ, მიუხედავად მრავალი ჭირ-ვარამისა და „სულის ხუთვისა“, როდესაც არა მარტო მწერლობის, არამედ ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, შეინახა თავისი სულიერი საუნჯე, წარსულმა დრომ კი ანდერძავით „დაუგდო“ მომავალს, რომ ხალხი „მეცნიერების და სიმართლის საფუძვლებზე დამყარებით, წინ წააყენოს განათლებული ქვეყნების დარად“ (უმიკაშვილი 1904: 500).

წინამდებარე წერილიდან ნათლად ვლინდება, რომ ქართული მწერლობის განვითარების უმიკაშვილისეული ხედვა განსხვავდება პერიოდიზაციის იმდროინდელი ყველა მცდელობისგან. პეტრე უმიკაშვილისთვის პრიორიტეტს „ქართველი ხალხის გადარჩენა“, ქართული ენისა და „უნიკალური“ მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის „შენარჩუნება“ წარმოადგენს და ქართული ლიტერატურის ისტორია სწორედ ამ კუთხით აქვს მიმოხილული.

ლიტერატურული პროცესის პერიოდებად დაყოფისას მკვლევარი სისტემატიზაციის სხვადასხვა პრინციპს იყენებს:

ა) პირველი ორი პერიოდის დათარიღებისას იგი კულტურულ-ისტორიულ პრინციპს მიმართავს – ამ პერიოდების ქრონოლოგია განისაზღვრება ეროვნული კულტურისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებით: „დასაწყისი მნიგ-

ნობრობისა“ და „დავით აღმაშენებლის ეპოქა“ – I პერიოდი; „თამარ მეფის დრო“ და „მონღოლების შემოსევა“ – II პერიოდი;

ბ) მესამე და მეოთხე პერიოდები *ქრონოლოგიური* პრინციპითაა გამოყოფილი (XVII, XVIII და XIX საუკუნეები).

გ) XIX საუკუნის შეფასებას პეტრე უმიკაშვილი *სოციალურ-ისტორიული* პრინციპით უდგება: ის „მეფობის გაუქმებით“ იწყება, ხოლო ორ პერიოდად დაყოფის მიჯნად მკვლევარი „ბატონყმობის გადავარდნას“ მიიჩნევს. მართალია, „ახალი დროის“ ცალკე პერიოდად გამოყოფა და მისი დახასიათება ილიასეული „ახალი ხანის“ ცნებას ეხმიანება, მაგრამ თუ ილია ძირითად მნიშვნელობას ეროვნულ-პატრიოტული თემის განვითარებას ანიჭებდა (მისი სიტყვებით, სწორედ ამ დროს „უნინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა ‘მამული’“\*), უმიკაშვილისათვის პრიორიტეტულია ხალხის სოციალური სტატუსის შეცვლა, მაგრამ კრიტიკოსი იმასაც დასძენს, რომ ამ დროს „განათლებული ახალი თაობა გამოდის მწერლობის ასპარეზზე“ (უმიკაშვილი 1904: 492), რაც ცალსახად თერგდალეულთა თაობის გამოჩენაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მწერლობის მიმართ სისტემატიზაციის განსხვავებული პრინციპებით მიდგომა რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობის საფუძვლად იქცა. მაგალითად, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებს მკვლევარი ახალ დროს, ანუ XIX საუკუნის მეორე პერიოდს მიაკუთვნებს, ვინაიდან ორბელიანებმა „*მოუხშირეს წერას (1840-1880)*“, მაგრამ აქვე შენიშნავს, რომ „*მათი ნაწერები 1830-იან წლებშიც გვხვდება*“.

საგულისხმოა, რომ აღ. ცაგარელისა და სხვა კრიტიკოსებისაგან განსხვავებით, პეტრე უმიკაშვილი არ იყენებს *მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპს*. მას არც აღ. ხახანაშვილის პერიოდიზაციისათვის დამახასიათებელი *ქრონოლოგიურ-ჟანრობრივი* პრინციპი აინტერესებს (იხ.: ციციშვილი, მოდებაძე 2013): ლიტერატურული მიმდინარეობების განვითარება და ჟანროლოგია მას ყურადღების მიღმა რჩება. სხვადასხვა პერიოდში შექმნილი ნაწარმოებების მხატვრულ ღირებულებაზე მსჯელობისას მკვლევარი ინტერესს იჩენს ენის დახვეწილობაზე („*ნაწარმოების ჟღერადობაზე*“) და ხალხურ პოეზიასთან მის სიახლოვეზე. ამ კრიტერიუმითაა შეფასებული დ. გურამიშვილის პოეზია („*მშვენივრად გამოთქმული აზრები ანდაზეზად გადაიქცა*“), რაფ. ერისთავის „*ლირიკის პოპულარობა*“ („*შესანიშნავია სახალხო ლექსების კილოთი*“), ვაჟა ფშაველას პოეზიის „*მთის ენასთან ახლო*“ „*ჰარმონიულობა*“ და სხვა. მაგრამ „*სახალხო ლექსების მსგავსი ერთგვარობა რითმებისა და ტაქებისა (სტრიქონების)*“ უმიკაშვილი ვაჟას ნაკლად თვლის (უმიკაშვილი 1904: 495). კრიტიკოსი დიდ მნიშვნელობას პოეტური ნაწარმოების სიმღერასთან სიახლოვეს ანიჭებს (ბესარიონ გაბაშვილი – „*სიმღერების მთხზველი*“, აღ. ჭავჭავაძის „*პოეტურ სიმღერებს*“ „*მღეროდა მთელი საქართველოს საზოგადოება*“, აკ. წერეთლის პოეზია გამოირჩევა „*გალობის ჰარმონიით*“ და სხვა). ილიას პროზის ღირსებად მკვლევარი მის „*სიმარტივეს*“ მიიჩნევს. აშკარაა, რომ უმიკაშვილისათვის პრიორიტეტი

\* იხ.: (მოდებაძე, ციციშვილი 2008) და (მოდებაძე 1998).

მხატვრული ნაწარმოების პოპულარობა – აღქმის /რეცეპციის/ სიმარტივეა\*. მკვლევარისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ისტორიულ-საზოგადოებრივი პრინციპი. ის ყველა ისტორიულ მოვლენას (სტამბის დაარსებას, განათლებას, პრესის, თეატრის და „სასცენო მწერლობის“ განვითარებას) საზოგადოებრივ ცხოვრებას უკავშირებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ილიას „შემოაქვს პოეზიაში საზოგადოებითი მოტივები ხალხის ჭირ-ვარამზე“ (უმიკაშვილი 1904: 493).

ქართულ მწერლობას მკვლევარი ევროპული ლიტერატურის კონტექსტში მიმოიხილავს, რაც ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურის სივრცეში ჩართვის ერთ-ერთ პირველ მეცნიერულ მცდელობად მიგვაჩნია (ი.მ.). მართალია, პეტრე უმიკაშვილი ტერმინს „მსოფლიო ლიტერატურა“ არ ახსენებს, მაგრამ XIX საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობაში „მსოფლიო“ და „ევროპული“ სინონიმებად იყო მიჩნეული\*\*. „მსოფლიო“ გულისხმობდა „ევროპულ ლიტერატურას (მაძინი, ვილმენი), რომელიც ყველაზე მეტად ცნობილი და მისაწვდომი იყო“ (მარინო 2009: 31). ვინაიდან ამ ცნებაში „ევროპულ მოდელს“ და „ევროპული კულტურის ჰეგემონურობას“ გულისხმობდნენ, მსოფლიო ლიტერატურის „უნივერსალობა უდრიდა ევროპოცენტრიზმს“ (რატიანი 2015: 17-18). იგივე პოზიცია პეტრე უმიკაშვილის ყველა მსჯელობაში შეინიშნება: მკვლევარი დადებითად აფასებს ყველაფერს, რაც „ევროპულ გზას“ ეხმადნება (მაგ., ანტონ-კათოლიკოსზე საუბრისას აღნიშნავს, რომ იგი „ცხოვრებაში ევროპიელ კაცებს უახლოვდებოდა“, მნიშვნელოვნად ესახება, რომ XIX საუკუნეში ქართველმა ხალხმა „შუბლზე იგივე მცნება დაინერა, რაც ევროპულ მწერლობას ჰქონდა შემუშავებული“, ჟურნალ-გაზეთების დამსახურებას კი იმაში ხედავს, რომ მათი მეშვეობით ქართველებს „თვალ-წინ ეშლებოდა ევროპის ხალხის ლიტერატურა და ისტორიული ცხოვრება“ და სხვა). კრიტიკოსი არც მწერლობის განვითარებისათვის მნიშვნელოვან „გამდიდრების“ პროცესს ტოვებს უყურადღებოდ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თარგმანებსა და „გადმოკეთებებს“ (მაგ., რაფ. ერისთავის რუსული ენიდან „კარგად გადმოკეთებულ“ კომედიებს). უმიკაშვილი, პირველ რიგში, ევროპული ლიტერატურის თარგმანებს გამოყოფს: მონტესკიეს (თეიმურაზ ბატონიშვილი), ვოლტერის, კორნელის, ლაფონტენის, პუშკინის (ალ. ჭავჭავაძე), შექსპირის (ივ. მაჩაბელი და დიმ. ყიფიანი), მოლიერის (დიმ. ყიფიანი) და სხვა. მისი თქმით, „ევროპული ავტორების მთარგმნელებს“ დიდი ღვაწლი მიუძღვით მშობლიური ლიტერატურის გამდიდრების საქმეში: მათ „ქართული მწერლობა შეავსეს და გააფართოვეს“, მაგრამ წუხს, რომ, მიუხედავად მთარგმნელთა სიმრავლისა, ბევრი მათგანი „ნათარგმნისაგან და არა დედნიდან, ორიგინალ ენიდან“ თარგმნის (უმიკაშვილი 1904: 497).

პეტრე უმიკაშვილი კვლევის *შედარებით-ისტორიული მეთოდოლოგიის* პრინციპების გამოყენებასაც ცდილობს (შეძლებისდაგვარად ადარებს ქართველ

\* სავარაუდოდ, ავტორისეულ პრიორიტეტებზე, მასალის შერჩევაზე, მისი შეფასების კრიტერიუმებზე და მოწოდების სტილზე აისახა „კალენდრის“ (ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემის) მიზნობრივი აუდიტორიის განათლების დონის გათვალისწინება (ი.მ.).

\*\* ტერმინი „მსოფლიო ლიტერატურა“ /“Weltliteratur”/ XIX საუკუნის დასაწყისში (1827 წ.) პირველმა ი. ვ. გოეთემ გამოიყენა.

მწერლებს ევროპელებს: ლაფონტენს, კრილოვს, ბაირონს), რაც იმ დროის ქართული კრიტიკისათვის სიახლე იყო. მისთვის განსაკუთრებით ყურადსაღებია ლიტერატურული კავშირები და გავლენები. მაგრამ კრიტიკოსის შეფასებები, უმრავლესად, ევროპოცენტრიზმის იდეითაა ნაკარნახევი (მაგალითად, I პერიოდის საღმრთო და საეკლესიო წიგნების თარგმანების შეფასებისას ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ისინი სრულდებოდა „იმ გვარადვე, როგორც ევროპის ქვეყნებში“). ასეთი მიდგომა ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შეფასებაშიც ვლინდება.

უმიკაშვილის, ისევე როგორც იმ ეპოქის სხვა ქართველი ლიტერატურის ისტორიკოსების, მიზანია, რომ „უძველესი“ და „უნიკალური“ ქართული მწერლობა ფართო სარბიელზე გაიტანოს. უცხოელების (ვივიელის, მარტენის, ბოჰპის, მარი ბროსეს, ლანგლუას, დუბუას, შანტრის, შილლერის, კოვალევსკის, მურავიოვის და სხვათა) ქართული მწერლობით დაინტერესებისა და განუვლი შრომის უმიკაშვილისეული მაღალი შეფასება ამის ნათელი დასტურია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პეტრე უმიკაშვილის წერილში „ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდან ჩვენ დრომდე)“ აისახა მისი დროისათვის დამახასიათებელი თეორიულ-მეთოდოლოგიური ძიებების მრავალფეროვნება.

#### **დამონშეპანი:**

**ლოტმანი 2000 [on-line]:** Лотман Ю.М. *Семиосфера. Культура и взрыв. Внутри мыслящих миров. Статьи. Исследования. Заметки.* Санкт-Петербург «Искусство-СПБ», 2000, стр.12-150. [on-line]: [https://edu.vsu.ru/pluginfile.php?file=%2F193961%2Fmod\\_resource%2Fcontent%2F1%2F%D0%9B%D0%BE%D1%82%D0%BC%D0%B0%D0%BD%20%D0%AE.%D0%9C.%20%D0%9A%D1%83%D0%BB%D1%8C%D1%82%D1%83%D1%80%D0%B0%20%D0%B8%20%D0%B2%D0%B7%D1%80%D1%8B%D0%B2.pdf](https://edu.vsu.ru/pluginfile.php?file=%2F193961%2Fmod_resource%2Fcontent%2F1%2F%D0%9B%D0%BE%D1%82%D0%BC%D0%B0%D0%BD%20%D0%AE.%D0%9C.%20%D0%9A%D1%83%D0%BB%D1%8C%D1%82%D1%83%D1%80%D0%B0%20%D0%B8%20%D0%B2%D0%B7%D1%80%D1%8B%D0%B2.pdf)

**მარინო 2009:** მარინო ა. *კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია.* თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

**მოდებაძე, ციციშვილი 2008:** მოდებაძე, ი., ციციშვილი თ. „ქართული მწერლობის ილიასეული შეფასების ტიპოლოგიისათვის“. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა“ (მასალები).* თბილისი: 2008.

**მოდებაძე 1998:** მოდებაძე, ი.ილია „ჭავჭავაძის კრიტიკული ნაზრების იდეურ-ესთეტიკური კონცეპციის საკითხისათვის“. *ლიტერატურული ძიებანი.* XIX. თბილისი: „ლეგა“, 1998.

**ნიკოლაევი 2011:** Николаев А. И. „Общее представление о литературном процессе. Традиции и новаторство“. Николаев А. И. *Основы литературоведения: учебное пособие для студентов филологических специальностей.* Иваново: ЛИСТОС, 2011, 255 с. [on-line]: <https://studfile.net/preview/5257785/page:10/>

**რატიანი 2015:** რატიანი ი. *ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი.* თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015.

**უმიკაშვილი 1904:** უმიკაშვილი პ. *ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდან ჩვენ დრომდე).* საქართველოს კალენდარი. თბილისი, 1904, გვ. 474 -500. [on-line]: <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/149210>

**ციციშვილი, მოდებაძე 2012:** ციციშვილი თ., მოდებაძე ი. „შუა საუკუნეების ქართული მწერლობის სისტემატიზაციის საწყისი ეტაპის სპეციფიკა“. VI საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. შუა საუკუნეების ლიტერატურული პროცესი. საქართველო, ევროპა, აზია“-ს მასალები, ნაწ. I. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

**ციციშვილი, მოდებაძე 2013:** ციციშვილი თ., მოდებაძე ი. „ქართული ლიტერატურის სისტემური შესწავლა მე-19 საუკუნის კრიტიკულ აზროვნებაში“. ლიტერატურული ძიებანი, XXXIV. თბილისი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

**ციციშვილი, მოდებაძე 2016:** ციციშვილი თ., მოდებაძე ი. „ქართული ლიტერატურის ისტორიის ვახტანგ კოტეტიშვილისეული პარადიგმა“. მე-7 საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. საქართველო ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

**ციციშვილი, მოდებაძე 2017ა:** ციციშვილი თ., მოდებაძე ი. „ქართული მწერლობის სისტემური შესწავლის ისტორიიდან (ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ ზანდუკელი)“. სჯანი, 18. თბილისი: 2017.

**ციციშვილი, მოდებაძე 2017ბ:** ციციშვილი თ., მოდებაძე ი. „კორნელი კეკელიძე და ქართული ლიტერატურული პროცესის პერიოდიზაცია“. ლიტერატურული ძიებანი, XXXVIII. თბილისი: 2017.

**ციციშვილი, მოდებაძე 2018:** ციციშვილი თ., მოდებაძე ი. „ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემური შესწავლის პირველი მცდელობა“. საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წელი. მასალები. თბილისი: 2018.

**ცხადაძე 1981:** ცხადაძე ქ. „პეტრე უმიკაშვილი“. ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი. თსუ: თბილისი, 1981, გვ. 82-91.

*Irine Modebadze  
Tamar Tsitsishvili  
(Georgia, Tbilisi)*

## From the History of the Systematic Study of Georgian Literature: Petre Umikashvili

### Summary

**Key words:** Georgian literature history, Systematic study, systematization of the national literatures history, Petre Umikashvili.

The first attempts at the systematization and the unification towards a systematic approach of Georgian literature history originated in the 19th century. During the initial stage of the development of critical thinking in Georgia, the process of a proper theoretical foundation progressed within the general European framework, creating the discourse for the systematization of the national literatures history.

Petre Umikashvili is an author of the article “Georgian Literature (From the Beginning to the Present Time)”, published in 1904 in the magazine named: “Georgian Calendar”. The



researcher sought to evaluate the history of the centuries-old Georgian literature, to systematize it, and attempted to divide it into periods. Petre Umikashvili summarizes the history of Georgian literature and divides it by periods:

- I – The beginning of the Literature (VI – XI);
- II – Blossom of Literature (from the 12th century to the Mongol invasion);
- III – The Weakening Period (from the Mongol invasion to the 17th century);
- IV – Renewal of Literature (from XVIII Century to XIX Century);
- V – XIX Century:

- a) From the beginning of the Nineteenth century to the Abolition of Serfdom;
- b) The New Period (from the abolition of the Serfdom until the end of the XIX Century)

Umikashvili's assessment stands out from all the previous attempts of the periodization. Petre Umikashvili's priority is to "save the Georgian people", to "preserve" the Georgian language and "unique" centuries-old Georgian culture, and the history of Georgian literature is precisely in this respect.

In categorizing the history of the literature into periods, the researcher applies different principles of systematization:

a) he applies the cultural-historical principle while categorizing the first two periods – the chronology of these periods is determined by historical events important to national culture: "Beginnings of Scripture" and "The Age of David the Builder" – I period; "King Tamar's Time" and "Mongol Invasion" – II period;

b) The third and fourth periods are separated by chronological order (XVII, XVIII and XIX centuries).

c) The nineteenth-century assessment is based on the socio-historical principle: it begins with the "abolition of kingship", and the researcher considers the "abolishment of serfdom" to be a split between two periods. Umikashvili considers that the change of social status among the people is the priority. But the critic also adds that a new generation of educators is emerging at this time pointing to the emergence of the generation of "Tergdaleulebi". Although Petre Umikashvili does not refer to the term 'world literature', the terms 'world' and 'European' were synonymous among nineteenth-century literary the literary critics. Petre Umikashvili applies comparative-historical methodological principles in the researching process (by comparing European writers to the Georgian ones: Lord Byron, Ivan Krylov, Jean de La Fontaine) which was the new experience of that time. The aim of Umikashvili, as well as other historians of Georgian literature of that era, is to bring "ancient" and "unique" Georgian writing into the spotlight. The high appreciation of Georgian writers' interest (Vivian, Marten, Boehp, Marie Brosse, Langlua, Dubua, Shantri, Schiller, Kovalevski, Muraviiov, etc.) and the hard work done by foreigners is a clear proof of this. In conclusion, it can be said that Petre Umikashvili's letter "Georgian Writing (From the Beginning to the Beginning)" reflected the variety of theoretical and methodological searches characteristic of his time.